# სოციალურად დაუცველი ტრავმატოლოგიური პაციენტების კმაყოფილება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით

**კორნელი ბაქრაძე**

**ჯგუფი N 2**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი:

თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2016**

# განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*კორნელი ბაქრაძე*

*კ. ბაქრაძე*

*თარიღი:*

# აბსტრაქტი

**შესავალი:** საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შემოღების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის ტრავმატოლოგიურ სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა. კვლევის მიზანია ტრავმატოლოგიურ სერვისებზე პაციენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის შესწავლა. **მეთოდოლოგია:** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა რესპოდენტთა გამოკითხვა სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. **შედეგები, დისკუსია:** საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუმცა, მიუხედავად ბაზისური პაკეტით უზრუნველყოფისა, სახელმწიფო პროგრამით სრულად არ ფინანსდება გეგმიური ტრავმატოლოგიური ქირურგიული ოპერაციების გარკვეული სახეები, რაც განსაკუთრებით მტკივნეული სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვისათვის. კერძოდ, მათ უხდებათ გეგმიურ ქირურგიულ სერვისებზე რამოდენიმე ათასიანი თანაგადახდების გადახდა. **რეკომენდაციები**: მიზანშეწონილია სოციალურად დაუცველი კატეგორიის პაციენტებისათვის გეგმიური ქირურგიული მომსახურების დაფინანსების სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდა. არსებული მწირი რესურსების გათვალისწინებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯთ-ეფექტურობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია კერძო დაზღვევის მქონე მოქალაქეების ამოღება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბაზიდან და მათზე გამოყოფილი თანხის გამოყენება სოციალურად დაუცველი კატეგორიის პაციენტებისათვის გეგმიური ქირურგიული მომსახურების 100 %-ით დასაფინანსებლად. მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირობების შესახებ;

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.